ა(ა)იპ წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“ -ს განცხადება ქვეყანაში პრორუსული და რუსული აგრესიის უკიდურესი გააქტიურების შესახებ

2018 წლის 13 მარტს საქართველოს პარლამენტში სამოქალაქო საზოგადოების დღესთან დაკავშირებით ცენტრი „ემპათია“ -ს ხელმძღვანელმა შემდეგი ინიციატივით მიმართა საქართველოს პარლამენტს:

1. განგრძობითი და პროგრესირებადი რუსული ოკუპაციის პირობებში, სტოკჰოლმის მაგვარი სინდრომის არსებული პრობლემების გათვალისწინებით, რაც დამახასიათებელია პოსტ - საბჭოთა პოპულაციისათვის, აუცილებლად მიგვაჩნია, ლუსტრაციის კანონის მიღება, შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტით, რაც გულისხმობს სხვადასხვა ღონისძიებებს, მათ შორის, პრო - რუსული და რუსული პოლიტიკური პარტიების, მას - მედიისა თუ სხვა ინსტიტუციების მოღვაწეობის აკრძალვას საქართველოში.
2. ამავდროულად, ცენტრი „ემპათია“ -ს ხელმძღვანელმა კვლავ მოუწოდა საქართველოს პარლამენტს ოკუპაციის შესახებ რეზოლუციის ტექსტში ასახოს მიმართვა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორისადმი რუსეთ - საქართველოს ომის დროის დანაშაულებებზე არსებული გამოძიების გეოგრაფიული და დროის ჩარჩოს გაფართოების შესახებ.

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“

საკონტაქტო მონაცემები:

ტელ: +995 32 238 10 15

ფაქსი: +995 32 238 10 33

ცხელი ხაზი: +995 599 88 54 68; +995 599 88 54 28.

Web-page: www.empathy.ge

Email: centre@empathy.ge

eka@empathy.ge

f: Rct Empathy